სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

19 მარტი, 2025 წელი

ბრძანება № 01-02/49

„ბსუ-ში 2025-2026 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 15 იანვრის №01-02/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილების, „ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 11 დეკემბრის №07-01/69 გადაწყვეტილების, „ბსუ-ში 2025-2026 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 15 იანვრის №01-02/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 14 თებერვლის №01-02/24 ბრძანებისა და ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2025 წლის 18 მარტის №290330 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ში 2025-2026 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის **2025 წლის 15 იანვრის №01-02/01 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:**

ა) ბრძანების პირველი პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გამოცხადდეს ბსუ-ში **2025-2026 წლებში განსახორციელებელი** (02.04.2025-15.12.2026წწ.) მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი შემდეგ მიმართულებებში:..“;

ბ) ბრძანების მე-2 პუნქტის „გ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) თითოეული მიმართულებით (1.1.-1.10.) სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესრულების დაწყების თარიღი - **არაუადრეს** 2025 წლის **02 აპრილისა,** ხოლო დასრულების თარიღი - არაუგვიანეს **2026 წლის 15 დეკემბრისა.**“;

2. სამეცნიერო კვლევების სამსახურმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების შესაბამისად ბსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებელი კონკურსის განცხადების (მოდიფიცირებული წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით) მომზადება და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

3. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს ბსუ-ს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს, ფაკულტეტების და ინსტიტუტების ადმინისტრაციების მიერ და ასევე გავრცელდეს ინფორმაცია ბსუ-ს პორტალის მეშვეობით (დაეგზავნოს სმს შეტყობინება).
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს: საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე